Direct Debit Georgia

სატენდერო დოკუმენტაცია

Direct Debit Georgia

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ **ტენდერს სწრაფი გადახდის ტერმინალის მეტალის კორპუსისა და ქუდის აღდგენის, კოროზიის მოცილების, დამუშავების, შეღებვისა და დაშლა-აწყობის მომსახურების შესყიდვაზე, 2 (ორი) წლის ვადით.**

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge - საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

	დასახელება	რაოდ. (თვეში)
1	სწრაფი გადახდის მეტალის კორპუსი	50.00
2	სწრაფი გადახდის ტერმინალის მეტალის ქუდი	50.00

ძირითადი მოთხოვნები

მეტალის კორპუსი

მომსახურება უნდა მოიცავდეს:

- მეტალის კორპუსის დაშლას;
- კოროზიის სრულ მოცილებას;
- კოროზირებული/დაზიანებული მეტალის ელემენტების აღდგენას ან შეცვლას;
- ზედაპირის დამუშავებას ანტიკოროზიული გრუნტით;
- შეღებვას ანტიკოროზიული საღებავით შემდეგი სპეციფიკაციით (მომსახურება მოიცავს როგორც გარე, ასევე შიდა ზედაპირების დამუშავებას):
    - ტერმინალის კორპუსი – ნარინჯისფერი;
    - ტერმინალის კარი – თეთრი;
    - მონიტორის პანელი – ნარინჯისფერი;
    - ტერმინალის პანელი – თეთრი;
    - ტერმინალის ძირი – თეთრი;
- შეღებილი კორპუსის სრული აწყობა;
- ერთი კორპუსის დამუშავების საშუალო ფართობი შეადგენს დაახლოებით **3.5-4.0 მ²-ს**. (აღნიშნული მაჩვენებლები არის საორიენტაციო და არ წარმოადგენს ფასის კორექტირების საფუძველს)

მეტალის ქუდი

მომსახურება უნდა მოიცავდეს:

- მეტალის ზედაპირის დამუშავებას;
- კოროზიის მოცილებას;
- დაზიანებული უბნების აღდგენას ან შეცვლას;

- შეღებვას ანტიკოროზიული საღებავით (ნარინჯისფერი); (მომსახურება მოიცავს როგორც გარე, ასევე შიდა ზედაპირების დამუშავებას);
- ერთი ქუდის დამუშავების საშუალო ფართობი შეადგენს დაახლოებით **0.8-0.9 მ²-ს**. (აღნიშნული მაჩვენებლები არის საორიენტაციო და არ წარმოადგენს ფასის კორექტირების საფუძველს)

ტრანსპორტირება

ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დამკვეთი.

წარმადობა

მინიმალური წარმადობა: თვეში არანაკლებ 50 ერთეული კორპუსი და 50 ერთეული ქუდი.

სატენდერო წინადადება

სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს:

1. ერთეულის ფასს;
2. დეტალურ ხარჯთაღრიცხვას;
3. გამოყენებული მასალების ჩამონათვალს;
4. სატესტო სამუშაოს შესრულებას (შეფასების ეტაპზე).

ანაზღაურების პირობები

ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ყოველთვიურად.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი არ უნდა იყოს გათვალისწინებული;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;
- ✓ **დანართი N4**- დეტალური ხარჯთაღრიცხვა

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 22/04/2026 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად გამოცხადდება პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა პირობები განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.